ქართველ ჰიდრომშენებელთა ბრწყინვალე გამარჯვება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი ოთხშაბათი 5 ნოემბერი № 254 (17897) ▫ ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შრომითი საჩუქარი საბჭოთა ხალხი-ოქტომბერი

პარტიის XXVI ყრილობას

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ყველა მონაწილეს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რეპუბლიკური საბჭო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — სადგურის მეხუთე აგრეგატის ამუშავებას და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სრული სიმძლავრით — 1640 ათასი კილოვატით ამოქმედებას.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა გახდა საბჭოთა მეცნიერების მიღწევების, გაბედული საინჟინრო ჩანაფიქრის ხორცშესხმის, ჩვენი მუშების ოსტატობის მკაფიო დადასტურება.

ეს შრომითი საჩუქარი, რომლითაც სამშობლო გაახარეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავის წინ, იმის შედეგია, რომ ელექტროსადგურის მშენებლობის ყველა მონაწილემ იმუშავა მიზანმიმართულად, გამოიჩინა შემოქმედებითი ინიციატივა და დიდი პასუხისმგებლობა ენერგეტიკის დაჩქარებული განვითარების იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ შეიმუშავა. მიღწეული ნარმატებანი შესაძლებელი გახდა ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, ენერგომშენებელთა მრავალეროვანი კოლექტივის შეკავშირებისა და აღზრდის საქმეში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საბრძოლო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მეოხებით.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ზრუნავენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებისა და ეკონომიკის აღმავლობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ამ დიდი მშენებლობის მონაწილენი კვლავაც თავდადებით იშრომებენ ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ იმ ახალი ამოცანების გადაწყვეტას, რომელთა მიზანია რესპუბლიკის ენერგეტიკული პოტენციალის ზრდა, დამკვრელური შრომით შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

მწყობრშია ენგურჰესის მეხუთე აგრეგატი

დღეს ენგურჰესის სახელოვან მშენებლებს დიდი ზეიმი აქვთ. რიგით მეხუთე და უკანასკნელი აგრეგატი სამრეწველო დენს მისცემს სახალხო მეურნეობას. მშენებლებთან ერთად ამ სიხარულს იზიარებენ საბჭოთა ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, მეცნიერები, დამპროექტებლები, ყველა ისინი, ვისაც წვლილი მიუძღვის ენგურჰესის მშენებლობის. აგრეგატებით, სამენი მასალებით, აპარატ-მოწყობილობებით უზრუნველყოფის საქმეში.

წალენჯიხის, მესტიისა და გალის რაიონების ცად აზიდულ მთებს შორის მოქცეული ენგურჰესის მშენებელთა დასახლება მორთულია პლაკატებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით, დიაგრამებით. მოზეიმე მშენებლები ლაღად ხვდებიან სტუმარ-მასპინძლებს, ეამაყებათ, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებით დასახული გეგმა — „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში — უზრუნველყოთ ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარება ძირითადად ჰიდროენერგორესურსების გამოყენების გზით, გავადიდოთ ელექტროენერგიის გამომუშავება 1,5-ჯერ, დავამთავროთ ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა“ — ვადამდე, 2 თვით ადრე, წარმატებით განხორციელდა.

ზეიმზე ჩამოვიდნენ ჩვენი დიადი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის სახელოვანი ჰიდრომშენებლები, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკები. ეს გასაგებიც არის. ენგურჰესს ხომ მთელი საბჭოთა ხალხი აშენებდა, როგორც იტყვიან, ყველას თითო აგური აქვს მიტანილი ამ საშვილიშვილო მშენებლობაზე.

ДЕЛЕ ენგურჰესის მშენებლებს — უნდა ამოქმედდეს რიგით მეხუთე მიწისქვეშა ჰიდროაგრეგატი. ხუთივე აგრეგატი ერთად მილიონ 800 ათასი კილოვატი სიმძლავრისაა. მათი წლიური გამომუშავება დაახლოებით 4,5 მილიარდი კილოვატსაათია.

სურათებზე: ზემოთ — ენგურჰესის მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის ხუთივე აგრეგატის ბედი; უნიკალური თაღოვანი კაშხლის მშენებლობაზე გამარჯვ მუშის სახელი დაიმკვიდრა კაშხლის მებეტონემ, საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ჯამბულ ფიფიამ (სურათზე ცენტრში) მან პირადი ხუთწლედის გეგმა სამწელიწად-ნახევარში დაძლია.

ენგურჰესის მშენებლობის დამხმარე საწარმოთა სამრეწველო გაერთიანების საბაგირო გზის ზენიკალმა მელიტონ ძიძავამ პირნათლად შეასრულა სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და ახლა მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

თ. ფუტკარაძის და საქინფორმის ფოტორეპორტიორის ფოტოები.



რეპორტაჟი ზეიმის წინ

ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის ბრიგადა ენერგეტიკის ფრონტზე ბრძოლის ერთ-ერთ ფრონტზე ბრძოლა ენერგეტიკის ფრონტზე ბრძოლა ენერგეტიკის ფრონტზე ბრძოლა ენერგეტიკის

მუშვიდობის სასიკეთოდ, ხალხის საკეთილდღეო შემოქმედებითი, აღმშენებლობითი შრომა

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო-ქარხნის XXVIII პარტიული კონფერენცია

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივი თანამიმდევრულად ახორციელებს სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს, დამკვრელური შრომით ეგებება სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს. ავიამშენებლებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი პატრიოტულ ინიციატივას: სკკპ XXVI ყრილობას— 26 დამკვრელური კვირა! საწარმოს მუშაკთა დიდმა უმრავლესობამ გადაწყვიტა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის ორი თვის დავალებანი შეახრულოს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გახსნისათვის, ხოლო პირველი კვარტალის გეგმა — სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის დაწყებისათვის.

დიდი ინტერესითა და მხურვალე მოწონებით შეხვდნენ საწარმოში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებას, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას პლენუმზე, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მახალებს. პლენუმისა და სესიის გადაწყვეტილებათა პასუხად საწარმოში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა ბრძოლა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. პლენუმის დადგენილებითა და ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული შესანიშნავი სიტყვით გამოწვეული ენთუზიაზმი ავიამშენებლებს აქტიური ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით განუმტკიცა ქარხნის კომუნისტთა დიდმა რაზმმა.

მუშაობის წარმატება-ნაკლოვანებების და მომავლის ამოცანების შესახებ გაიმართა სჯა-ბაასი თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის XXVIII პარტიულ კონფერენციაზე.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. ლომაძემ.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი.

შედეგები

გვახარებს

კონფერენციის მონაწილეებმა აქაყოფილებით აღნიშნეს საანგარიშო პერიოდში იმ პარტიულ-რეგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დადებითი შედეგები, რომელმაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმას, რომ საწარმოს უთუოდ შეესრულებინა ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი. მეათე ხუთწლედის უკანასკნელი ორი წელი, რომლებიც საანგარიშო პერიოდს ემთხვევა, ქარხნისათვის გადამწყვეტი იყო. კოლექტივის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გარკვეულ სიძნელეთა დაძლევა უხდებოდა მის მებრძოლ ავანგარდს — პარტიულ ორგანიზაციას. ეს იყო კოლექტივის სოციალური განვითარების, მისი განახლებისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდის ვრცელი პროგრამის შესრულების ჭალრიოდი. როგორც მომხსენებელმა და გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, დიმიტროველებმა წარმატებით გაართვეს თავი ყველა ამ რთულ ამოცანას.

1978 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მთელი მატების 94 პროცენტი მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

საანგარიშო პერიოდში პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. ქარხანაში შემუშავებულია საწარმოს 84 სტანდარტი, წარმოებაში დაინერგა —67. თითქმის 800 მუშას აქვს უფლება გამოუშვას პროდუქცია პირადი დამლით, პროდუქციის 97,8 პროცენტი პირველი წარდგენით ბარდება, სამჯერ შემცირდა საწარმოო მიზეზებით გამოწვეულ რეკლამაციათა რიცხვი.

საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მუშათა მობილიზაციის საქმეში კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება, შემოქმედებითი აქტიურობის ზრდა, მაღალი ზნეობრივი იდეალებისა და ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნისათვის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებისათვის მუშაობა— ყოველივე ეს გამოხატა სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებით, რომელშიც ჩაბმულია რესპუბლიკის ამ მოწინავე საწარმოს მთელი კოლექტივი.

ქარხნის 61 მუშამ ვადამდე სამ წელიწად-ნახევარში შასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმები. მათი შესრულება მარტო ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე 340 მუშამ უპატაკა სამშობლოს. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისთვის ხუთწლიანი დავალებანი შესრულა 510 მუშამ. ქარხნის XXVIII პარტიული კონფერენციისათვის კიდევ 203 მუშამ, რამდენიმე საამქრომ და უბანმა მოიპოვა ასეთივე წარმატება.

ვიმუშაოთ უკეთ,

მეტი უკუგებით

— **რა** პრობლემასაც უნდა წყვეტდეს ჩვენი პარტია განვითარებული სოციალიზმის პირობებში, იგი, უწინარეს ყოვლისა, ისწრაფვის უზრუნველყოს პლანეტაზე უღრუბლო ზეცა, გააუმჯობესოს თითოეული საბჭოთა ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა, — თქვა კონფერენციაზე მგამსვლელმა თავის სიტყვაში ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

ამ დიადი მიზნის მისაღწევად ჩვენ კვლავაც თანამიმდევრულად, ბეჯითად უნდა ვეძებოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების გზები, ვისწავლოთ უფრო უკეთ, კიდევ მეტი უკუგებით მუშაობა, გამოვიჩინოთ მაღალი შეგნება და შემოქმედებითი ინიციატივა შრომაში, შევიარაღდეთ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებით.

ახლა, ხუთწლედის ფინიშზე, ძვირფასია ყოველი დღე, თითოეული საათი, ყოველი შრომითი წუთი, და ისინი უნდა მოვიხმაროთ მაქსიმალური უკუგებით.

დღეს შეგვიძლია ხულდაჯერებით ვთქვათ, რომ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივი მთლიანად წარმატებით აღწევს დაგეგმილ მიჯნებს, ასრულებს მეათე ხუთწლედისა და მისი დამამთავრებელი წლის დავალებებს, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ხომ ქარხანაში სეროიზული ჩამორჩენა იგრძნობოდა წარმოების ზრდის დაგეგმილ ტემპთან შედარებით. ბევრი მუშაობა დაგვჭირდა, რომ საწარმოს დაეძლია ჩამორჩენა, ახლა იგი უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების შესრულებას, როგორიც შრომის ნაყოფიერების ზრდა, მოგება და რენტაბელობის დონეა. ქარხანაში ერთიორად გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. ოთხი წლის მანძილზე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია

რა თქმა უნდა, ციფრები, თავისთავად, მთავარი როდია. მთავარია ის, თუ რას განასახიერებს ისინი, რას ამლევს ესა თუ ის კოლექტივი ქვეყანას კონკრეტულად. ამ თვალსაზრისით ქარხნის ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებები მოხდა. ეს ცვლილებები ეეხო როგორც საწარმოო სფეროს, ისე მუშათა ყოფასაც. შრომის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს თითქმის მილიონი მანეთი მოხმარდა.

ამ ხუთწლედში ნავარაუდევია საბინაო ფონდი გაიზარდოს 34,3 ათასი კვადრატული მეტრით, ამასთან, მარტო 1979-1980 წლებში საექსპლუატაციოდ გადაეცა 27,7 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ფართო ფრონტით მიმდინარეობს საწარმოს გარშემო მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. შეკეთდა გზები და ტროტუარები, მოეწყო ავტობუსების გაჩერებები, ბავშვთა მოედნები და ბავშვთა საცურაო აუზები, დაირგო 150 ათასამდე ხე და ბუჩქი.

გაუმჯობესდა საწარმოს მუშაკთა ოჯახების მატერიალური კეთილდღეობა. ერთი მომუშავის საშუალო ხელფასი ხუთწლედის დამდეგიდან 15,1 პროცენტით გაიზარდა. ამასთან სისტემატურად იყო უზრუნველყოფილი შრომის ნაყოფიერების ზრდის უპირატესი ტემპები ხელფასის გადიდებასთან შედარებით.

უმჯობესდება სამედიცინო მომსახურება, მუშათა კვების სისტემა. ქარხნის მუშაკთა ორი ათასზე მეტი ბავშვი ყოველ ზაფხულს ისვენებს ქარხნის აგარაკზე, პიონერთა ბანაკში.

განვამტკიცოთ

მართვის

დემოკრატიული

საწყისები

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მიღწეულმა მაღალმა მიჯნებმა არ უნდა წარმოშვას თვითდამშვიდების განწყობილება. მნიშვნელოვნად უნდა გავაქტიუროთ მთელი ორგანიზატორული, პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა, გავაღრმაოთ და გავაფართოოთ იგი, გადავიყვანოთ მეცნიერულ რელსებზე.

ახალ ხუთწლედში რესპუბლიკამ თავისი ეკონომიკა ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს. უკვე ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ადვილი ამოცანა არ იქნება— გავიდეთ ქვეყანაში მოწინავე პოზიციებზე არა მარტო ზრდის ტემპის, არამედ სხვა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც, ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მთავარი მიზანია ავამაღლოთ რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების დონე, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომმაოგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით.

ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში. აქედან გამომდინარე გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გავზარდოთ მემცენარეობისა და მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოება და დამზადება. მომავალ ხუთწლედში უნდა მივაღწიოთ ახალ უფრო მაღალ მიჯნებს, მკვეთრად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი.

გათვალისწინებულია აგრეთვე ბევრად გავზარდოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება.

განვთავრებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში შრომითი კოლექტივების როლი მაღლდება არა მარტო ეკონომიკაში, არამედ მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

შრომითმა კოლექტივმა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების მთელი სისტემის დიდმნიშვნელოვანმა სტრუქტურულმა რგოლმა, ფართო უფლებები და შესაძლებლობანი მოიპოვა ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებაში, აგრეთვე მათი განხორციელებისადმი კონტროლში მონაწილეობისათვის, და ეს უფლებანი და შესაძლებლობანი გათვალისწინებულია სამეურნეო შეჭანიზმის სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. ამის შესახებაც დაწვრილებით იმსჯელეს კონფერენციაზე.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ შრომითს საწარმოო კოლექტივს პარტია მიაჩნევს არა მარტო ორგანიზაციულ სისტემად, არამედ აგრეთვე საზოგადოების ძირითად სოციალურ უჯრედად, განსაკუთრებულ სახეობად ადამიანთა სოციალური ერთობისა, სადაც ყალიბდება ყოველი ინდივიდუუმის პიროვნება. აქ ორგანულად ერწყმის ერთმანეთს სოციალური და საწარმოო ფაქტორები. სოციალისტური საწარმოო კოლექტივი უშუალოდ აონის დაინტერესებული, რომ ყოველმხრივ ჰარმონიულად ვითარდებოდეს მისი თითოეული წევრი. სწორედ ამიტომ შრომითს კოლექტივებში ორგანიზატორული, იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება თანამედროვე პირობებში წინა პლანზე დგება.

დიმიტროვის სახელობის ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა, მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. და ქარხანაში ვითარების შესამჩნევი გაუმჯობესება, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების დამსახურებაა.

კოლექტივში კომუნისტური აღზრდა, როგორც მის საწარმოო საქმიანობაში წარმატების წანამძღვარი, აღინიშნა კონფერენციაზე, არ შეიძლება წარმატებული იყოს, თუ ერთდროულად არ გამოვიყენეთ იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა საშუალება. ეს მუშაობა კომპლექსურად უნდა ხორციელდებოდეს.

კონფერენციაზე დეტალურად გაანალიზეს შრომის ორგანიზაციის ახალი პროგრესული ფორმა — ბრიგადული იჯარის მეთოდი. ქარხანა შეიარაღდა მეთოდით, რომელიც კარგ შედეგებს იძლევა. -მუშაკთა 36 პროცენტი ბრიგადული იჯარის მეთოდით შრომობს. ასეთ ბრიგადებში შრომის ნაყოფიერება ქარხნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით 10-15 პროცენტით, ხოლო ხელფასი 8-12 პროცენტით მეტია.

შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა უზრუნველყოფს წარმოებაში მუშაკთა მაღალ ურთიერთშეცვლებას, ამხანაგური ურთიერთდახმარებას, მთელი კოლექტივის მეცადინეობის კონცენტრაციას, ძალების სწორად გადაჯგუფებას. და, რაც მთავარია, იგი მნიშვნელოვნად ამარტივებს, აადვილებს წარმოების მართვას, დამატებითი რეზერვების ძიებას, განტვირთავს სამმართველო აპარატს უფრო დიდი და რთული ამოცანების გადაწყვეტისათვის, ზრდის მის ოპერატიულობას. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ავიამშენებლებმა რაც შეიძლება ფართოდ უნდა განავითაროთ შრომის ბრიგადული ფორმა.

საჭიროა აგრეთვე მეტი ყურადღება დავუთმოთ წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმის ისეთ მნიშვნელოვან ფორმებს, როგორიც კოლექტიური ხელშეკრულებანი და მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირებია.

როცა ამ ფორმების სრულყოფის საჭიროებაზე ვლაპარაკობთ, უნდა მივაღწიოთ დემოკრატიული საწყისების განმტკიცებას ნიშნეულოვანესი ამოცანა ამ მიმართულებით ეს ... ეკონომიკურ-სოციალურ ... ...

60

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისათვის

მოძმე ქართველი და აფხაზი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობის მდიდარი ისტორიის სახელოვანი ფურცელია მათი ერთობლივი ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად მათ ღირსეული წვლილი შეეტანეს ჩვენს დიდ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გაჩაღებულ საერთო ბრძოლაში. ეს შესანიშნავად ადასტურებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნათქვამს იმის შესახებ, რომ „ყველა ერის მშრომელთა ერთიანობა რევოლუციის გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარია“.

მშრომელთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობლივი ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია ქარცეცხლიანი 1918 წლის ამბები.

უფრნარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოების ხელისუფლებისათვის ბრძოლის გაწლის მომზადებისათვის აფხაზეთში უკვე არსებობდა შეკავშირებული და ბრძოლისუნარიანი ბოლშევიკური ორგანიზაცია, მისი ჩასახვა და გამიტკეცება დაკავშირებულია გამოჩენილი რევოლუციონერი-ელენელების ალექსანდრე (საშა) წულუკიძისა და სერგო ორჯონიკიძის სახელებთან.

მათი სიქმე განაგრძეს შესანიშნავმა ბოლშევიკმა ორგანიზატორებმა სევერიან კუხალეიშვილმა, კლასინო მელაძემ, ვასო აბაშიძემ, ნიკოლოზ ბახტაძემ. შემდეგ რევოლუციური ბრძოლის ასპარეზზე გამოდიან პირველი აფხაზი ბოლშევიკები, პროფესიონალი რევოლუციონერები სამსონ კარტოზია, ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა. 1917 წლის მაისში სოხუმში შეიქმნა რსდმპ (ბ) საოლქო კომიტეტი ეფრემ ეშბას მეთაურობით.

როგორც ცნობილია, 1918 წლის დამდეგი საქართველოსა და ამიერკავკასიაში აღინიშნა მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის აღმავლობით, რომლებმაც მხურვალედ აღიქვეს დიდი ოქტომბრის იდეები.

1918 წლის 10 თებერვალს თბილისში, ბოლშევიკური მიტინგის მონაწილეთა დახვრეტის შემდეგ, რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა საქართველოს ყველა პარტიული ორგანიზაცია გადაეყვანა არალეგალურ მდგომარეობაში და შესდგომოდა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების სამზადისს.

იმავე წლის თებერვალში ქუთაისსა და ბათუმში გამართულმა დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციათა კონფერენციებმა რეგიონის კომუნისტებს აგრეთვე დაუსახეს მიზნად აჯანყება საბჭოების ხელისუფლებისათვის. ამ კონფერენციათა მუშაობაში აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შესაბამისი გადაწყვეტილებით აფხაზეთის ბოლშევიკების დასახმარებლად გაიგზავნენ ამბერკი ურუშაძე, ნიკოლოზ და ვალერიან ბახტაძეები.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის საერთო ამოცანიდან გამომდინარე შეიარაღებული აჯანყებისათვის სამზადისი აფხაზეთშიც დაიწყო. 1918 წლის თებერვლის დამლევს ბათუმში გაიმართა თათბირი მ. ორახელაშვილის, ე. ეშბას, ნ. ლაკობას, გ. ათარბეკოვისა და შავი ზღვის ფლოტის წარმომადგენლის მონაწილეობით. თათბირზე დაისახა მომავალი მოქმედების გეგმა.

ბათუმელი ბოლშევიკების და რევოლუციური მეზღვაურების მეცადინეობით აფხაზეთში თავიდან იარაღი და ტყვია-წამალი ჩაიტანეს. რევოლუციონერებს სოჭელი წითელგვარდიელებიც დაეხმარნენ, ამასთან ერთად საბრძოლოდ გაემზადა ყველა რევოლუციური ინტერნაციონალური რაზმი, მათ შორის აფხაზ გლეხთა სახელგათქმული რაზმი „კიარაზი“.

მშრომელთა თავგანწირული ბრძოლის შედეგად საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, ოჩამჩირის რაიონის გარდა, სადაც გამაგრდნენ თავადაზნაურობა და მენშევიკური ჯარების ნაშთები. სოხუმში საბჭოთა ხელისუფლებამ 1918 წლის 8 აპრილიდან 17 მაისამდე, ანუ 40 დღეს გაძლო, რაიონებში კი უფრო დიდხანს.

ანიშვნება რა დიდ მნიშვნელობას ამ მოვლენებს, ვ. ი. ლენინი აუარადღებით ადევნებდა თვალს მათს განვითარებას. სამოქალაქო ომით და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციით გამოწვეული უარესად მძიმე პირობების მიუხედავად დიდმა ბელადმა ბევრი რამ გაკეთა ახალი საბჭოთა რაიონის დასაცავად.

ეს ამბები აისახა საბჭოთა მთავრობის საინფორმაციო ცნობებსა და დიპლომატიურ დოკუმენტებშიც. იმ დღეებში ი. ბ. სტალინი „პრავდის“ ფურცლებზე წერდა „გმირული აფხაზეთის“ შესახებ. უაღრესად საინტერესოა რევოლუციური აფხაზეთის ხელმძღვანელთა არაერთგზისი მიმართვა ვ. ი. ლენინისადმი. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც 1918 წლის 11 მაისით არის დათარიღებული, ნათქვამია, რომ „დეპუტატთა საბჭოს მუშურ-გლეხური წითელი გვარდია ჩაება უთანასწორო ბრძოლაში კონტრრევოლუციურ რაზმებთან, ვითარების ხსნა ერთიანობას შეუძლია... გთხოვთ სასწრაფოდ მისცეთ განკარგულება ფლოტის ნოვოროსიისკის სარდაფს საბჭოს გამოგზავნოს სოხუმის ფრონტზე საბრძოლო გემები“.

უმაღლეს ხელისუფლებას აფხაზეთში სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ახორციელებდა. მისი შემადგენლობა თვალსაზრისი ცხადყოფს აფხაზეთის კომუნისტებისა და მშრომელების ინტერნაციონალურ ტრადიციებს. კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ: ე. ეშბა (თავმჯდომარე), ნ. ლაკობა, ს. ბუხალეიშვილი, გ. ათარბეკოვი (ათარბეკიანი), კ. მაკაროვი, პ. ძიგუა და სხვები.

აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც საბჭოთა მთავრობის გამოცდილებითა და მისი დირექტივებით ხელმძღვანელობდა, განახორციელა მხარის სოციალისტური გარდაქმნის მთელი რიგი ღონისძიებანი. დიდი მუშაობა მიმდინარეობდა მშრომელთა შორის, კერძოდ, მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის.

ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა მეგობრობისა და დარაზმულობის იდეები აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „სუფთმსკაია პრავდის“ თითქმის ყოველი ნომრის მთავარი თემა იყო. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია: „უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა ეროვნების მუშებისა და გლეხების კავშირი, დარაზმულობა არის ჩვენი ძალა“. თავის დროზე გაზეთის ერთ-ერთი რედაქტორი იყო ცნობილი ქართველი რევოლუციონერი ანდრია დოლიძე.

ბოლშევიკური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებას 1918 წელს ერთად აშენებდნენ და იცავდნენ მრავალი ხალხის წარმომადგენლები.

კონტრრევოლუციის მარწუხებში მოქცეული საბჭოთა აფხაზეთისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა სერგო ორჯონიკიძე — რუსეთის სამხრეთის საგანგებო კომისარი. როცა მტრის ელემენტებმა დაიწყეს აფხაზეთის წინააღმდეგ თეთრგვარდიელთა ძალების შეკოწიწება, ლენინელმა კომისარმა კატეგორიულად განაცხადა: „სოხუმის ფრონტი არ მოიხსნება, ხოლო ყველას, ვინც გაბედავს და აშკარად მიემხრობა ჩვენს მტრებს, ულმობლად მოვსპობთ“. და მიუხედავად უაღრესად არახელსაყრელი ვითარებისა, ორჯონიკიძემ შეძლო უზრუნველყო აფხაზეთისადმი მნიშვნელოვანი დახმარება იარაღით, ფიზიკათითა და კადრებით. ეს მუშაობა ხორციელდებოდა ნაწილობრივ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დახმარებით.

აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მუშაობაში თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდა პეტრე ალნიაშვილი (ალნელი), როგორც პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და კავკასიის საგანგებო კომისრის ს. შაუმიანის წარმომადგენელი. როცა უთანასწორო ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა, მამაცმა ქართველმა კომუნისტმა ინტერნაციონალისტმა საგანგებო საგამოძიებო კომისიას განუცხადა: „კოდორის ფრონტზე წავედი სრულიად შეგნებულად, რადგან ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა... დამეცვა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრები...“

აფხაზეთის რევოლუციურ ამბებში დიდი როლი შესრულეს აგრეთვე ს. გუბელმა (მაზბირაშვილი), ნ. და ვ. ბახტაძეებმა, ა. ურუშაძემ და საქართველოს ბოლშევიკური ცენტრების სხვა წარმომადგენლებმა, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტთან. შემდეგ ისინი ყველა შეიყვანეს აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მუშებისა და გლეხების ბრძოლა საქართველოს და ამიერკავკასიის მშრომელთა საერთო ბრძოლის ორგანული ნაწილი იყო. აფხაზეთის მებრძოლი რაზმები, რომლებიც იხდიდნენ ინტერნაციონალურ ვალს, ბრძოლას აწარმოებდნენ თავიანთი მხარის ფარგლებს გარეთაც, საქართველოს ცალკეულ რაიონებში. ერთ-ერთი ასეთი რაზმი მონაწილეობდა რაჭა-ლეჩხუმში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. მენშევიკური გაზეთი „ერთობა“ ამის შესახებ წერდა: „...მეამბოხეებმა მთავარი შტაბი გადაიტანეს ჭრეხალოში. ამ შტაბთან იყვნენ არა მარტო ლეჩხუმელები, არამედ მეგრელებიც და „აფხაზებიც“. აღნიშნული რაზმი აქ გაგზავნეს ნ. ლაკობას მითითებით, მის შემადგენლობაში იყო 30 მებრძოლი, რომლებსაც ახლდათ 16 ყუთი ტყვია-წამალით დატვირთული ეტლი ცხენი.

1918 წლის ივნისში გალის რაიონის აჯანყებულთა რაზმმა ფილიპე თორიის ხელმძღვანელობით გადალახა ენგური და ბრძოლით აიღო ანაკლია, შემდეგ ზუგდიდში შეიჭრა. ცხარე ბრძოლების შედეგად აფხაზეთის პარტიზანებმა ზუგდიდელ აჯანყებულებთან ერთად ხელთ იგდეს ქალაქის დიდი ნაწილი. მაგრამ ძალები უთანასწორო იყო, მათ დანაკლისი განიცადეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

მებობელი ქართული აჯანყებული რაიონები, თავის მხრივ, ძმურ დახმარებას უწევდნენ აფხაზეთის მშრომელებს. სამეგრელოში 1918 წლის აპრილში რევოლუციური მოძრაობის დროებითი დამარცხების შემდეგ შ. ასკურავამ მეთაურობით აჯანყებულთა რაზმმა შეაღწია აფხაზეთში; ერთმა ჯგუფმა — სოხუმში, მეორემ — გალის რაიონში. ასკურავამ, რომელიც აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი გახდა, დიდი მუშაობა გასწია.

პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა მოქმედების კოორდინაციის მიზნით მუდმივი კავშირი დაამყარა აფხაზეთის ბოლშევიკებთან. კომიტეტის წევრები პ. მეუნარგია და ა. თოლორაია ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილში გაგზავნეს სოხუმში, სადაც ისინი მონაწილეობდნენ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მუშაობაში. ერთ-ერთმა მათგანმა, მეუნარგიამ, ინფორმაცია გააკეთა ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

პარტიის ქუთაისის კომიტეტმა სოხუმში მიავლინა ბესარიონ კვირკელია (კვირკველია), რომელიც გაეფრთხილებინა იქაურები, რომ საბჭოთა აფხაზეთს წინააღმდეგ მენშევიკური ჯარები გამოსვლას აპირებენ. იგი სოხუმში დარჩა და აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთისა და შავი ზღვისპირეთის ამბებში. ერთ ხანს კვირკველია იყო სამხრეთი ფრონტის ს

ხალხური შემოქმედება — საერთო საზრუნავი

რესპუბლიკურ თათბირს

მასპინძლობდა აფხაზეთი

აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი ორ დღეს მასპინძლობდა რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა დიდ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს კომპოზიტორთა, მხატვართა ყავშირების ხელმძღვანელები, მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებათა, კულტურისა და განათლების სამინისტროთა წარმომადგენლები, ცნობილი კომპოზიტორები, მ წ ერ ლ ებ ი.

ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეებში თბილისელ სტუმრებმა აქ ჩამოვიდნენ რესპუბლიკურ თათბირში — „შემოქმედებითი ინტელიგენცია და მხატვრული თვითმოქმედება“ — მონაწილეობის მისაღებად.

თათბირი, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავს, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბუთბამ. მან ილაპარაკა ხალხური შემოქმედების მხატვრული დონის ზრდის, ამ საქმეში ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების, სოფლად კულტურულ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მუშაობის ფორმების სრულყოფის საკითხებზე.

მასებთან პროფესიონალი კულტურის მოღვაწეების შემოქმედებითი ურთიერთობის ხალხური თვითმოქმედების შემდგომ განვითარებაზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ორჯონიკიძემ.

მან აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხის დღევანდელი კულტურული მოთხოვნილებები აუცილებელს ხდის სოფლად ახალი, უფრო ეფექტიანი ფორმების დანერგვას, ხალხური თვითმოქმედი ძალების გამოვლენისათვის ყოველდღიურ ზრუნვას.

— ახლა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფოლკლორული ტრადიციების ჰარმონიულ შერწყმას მუსიკალური კულტურის სხვა სახეობებთან. ფილარმონია და სხვა დაწესებულებები მოვალენი არიან გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა ამ მიმართულებით, ეძიონ მუსიკალური ნიმუშების პროპაგანდის ახალი, უფრო ქმედითი ფორმები. გვერდი აუარონ ფორმალიზმს და არ შემოიფარგლონ მხოლოდ კონცერტების მოწყობით, — თქვა გ. ორჯონიკიძემ.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა თქვა, რომ ამჟამად უპირველესი ამოცანაა ყოველგვარი პირობა შევუქმნათ და ხელი შეეწყოთ კულტურის სახლებთან, კლუბებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, საწარმო-დაწესებულებებთან, საშუალო სკოლებთან საგუნდო კოლექტივების საქმიანობას, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში ჩაებას უფრო ფართო მასები, დავიცვათ ეროვნული ქორეოგრაფიის თავისთავადი ელემენტები.

სოფლად კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სადღეისო მდგომარეობაზე ილაპარაკა შემდეგ გუდაუთის რაიონის კულტურის სახლის დირექტორმა ი. ლაკერბაიამ.

თავიანთ გამოსვლებში საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯანბერიძემ, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ციციშვილმა, აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მ. ლასურიამ, მწერალმა ჯ. ამირეჯიბმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა შ. სალაყაიამ, ჟურნალ „ალაშარას“ რედაქტორმა გ. გუბლიამ, ოსმა მწერალმა ნ. ჯუსოიმა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. ლომიძემ, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ, აფხაზეთის ასსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ქეცბამ და სხვებმა ილაპარაკეს პროფესიული ხელოვნებისა და მხატვრული თვითმოქმედების ურთიერთობაზე, სოფლად ხალხური შემოქმედების ორგანიზაციის პრობლემებსა და ამოცანებზე, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ხალხური შემოქმედების ტრადიციებზე...

საღამოს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიაში გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის ფოლკლორული კოლექტივების კონცერტი „მღერის აფხაზეთი“.

კონცერტში მონაწილეობდნენ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს ხანდაზმულთა ჯგუფი, გალის რაიონის სოფელ ოტობაიიდან ალფენიძეების საოჯახო ანსამბლი, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშიდან გერზმავების საოჯახო ანსამბლი, სოხუმის მოსწავლეთა სახლის ვოკალური ანსამბლი, გუდაუთის რაიონის სოფელ ორჯონიკიძისა და გალის რაიონის კულტურის სახლის გუნდები, აფხაზეთის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბავშვთა ინტერნაციონალური გუნდი და სხვა კოლექტივები.

დასასრულს გამოვიდა აფხაზეთის ხანდაზმულთა სიმღერისა და ცეკვის ორგზის დამსახურებული ეთნოგრაფიული ანსამბლი „ნართაა“.

კონცერტზე მთელი საღამოს განმავლობაში სხვა სიმღერებთან ერთად ჟღერდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები.

თათბირის მონაწილეები მეორე დღეს ეწვივნენ გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის მეცტრუსეობის საბჭოთა მეურნეობას, გაეცნენ რაიონის მხატვრულ-შემოქმედებითის კოლექტივებს, დათვალიერეს ღირსშესანიშნაობანი.

ი. ბოგეჩია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათზე: გამოდის აფხაზეთის უხუცესთა ანსამბლი „ნართაა“. შ. დგებუაძის ფოტო.

ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო!

ამრავლეთ საბჭოთა სპორტის დიდება!

გადაეცათ ჯილდოები

8 ნოემბერს კრემლში სპორტსმენების, მწვრთნელების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკების დიდ ჯგუფს გადაეცა სსრ კავშირის ორდენები და მედლები.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ა. ნ. დიტიატინს, ტ. ვ. კაზანკინას, ვ. ა. კროვოპუსკოვს, ი. გ. სედიხსა და ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური ინსტიტუტის განყოფილების გამგეს ზ. ს. მორნოვას ლენინის ორდენები მიენიჭათ.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის დამსახურებული სპორტის ოსტატი ვ. დ. სანეევი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ა. პ. ბოხდარჩუკი, ვ. ა. კაპიტონოვი, ნ. ე. მალიშევი, ი. ა. შახმურადოვი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვი.

სურათზე: სპორტსმენთა ერთი ჯგუფი დაჯილდოების შემდეგ.

საკადრ.-საკინფორმის ტელეფოტო.

გადაეცათ აგრეთვე შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის, „სიპატიო ნიშნის“, III ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ა. იასნოვმა ორდენებისა და მედლების გადაცემისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით გულითადად მიულოცეს დაჯილდოებულთ, უსურვეს ახალი მიღწევები სპორტში, ფიზიკური კულტურის მასობრივ განვითარებაში, ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში. (საკ.ფეს).

„უოტერფორდი“ — თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ირლანდიელი ფეხბურთელები, რომლებსაც მასპინძლობა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს აეროპორტში. იქვე, დარბაზში სახელდახელო ინტერვიუ ჩამოვარდვით „უოტერფორდის“ — თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ მატჩის მოთამაშე მწვრთნელს ტ. ჯექსონს, იმ ჯექსონს, რომელსაც თავის დროზე უთამაშია ინგლისის ცნობილ საკლუბო გუნდებში — „ევერტონში“, „მანჩესტერ იუნაიტედში“ და „ნოტინჰემ ფორესტში“. ჯექსონს საქვეყნოდ სახელგანოქმული ბესტთან ერთად ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ღირსებაც დაუცავს და სსრ კავშირის ნაკრებთანაც უთამაშია. ეს მაშინ, როცა საბჭოთა ნაკრებში სხვებთან ერთად გ. ძოძუაშვილიც გამოდიოდა.

— ქართულ ფეხბურთთან ჩემი ნაცნობობა ნაკრები გუნდების დონეზე — ძოძუაშვილთან მეტოქეობით და თბილისის „დინამოსთან“ უოტერფორდში ამასწინანდელი პირველი მეოვედფინალური მატჩით ამოიწურება. — თქვა ჯექსონმა და განაგრძო: — ქართულ ფეხბურთზე გარკვეული წარმოდგენა ჟურნალ-გაზეთებიდანაც შემექმნა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დინამოელებმა „ლიეერპულთან“ დიდებული თამაშით ისახელეს თავი. ისეთი მაღალი კლასის გუნდთან, როგორიც თბილისის „დინამოა“, ძნელია თამაში. მაგრამ ამის გამო ფარხმალს წინასწარ ხომ არ დავყრით. წარმატების, რევანშის სურვილი რომ არა, სხვა მხრივ თბილისამდე შორი გზის გავლა უაზრობა იქნებოდა. ამჟამად ქვეყნის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში შუა, შედარებით მოკრძალებული ადგილი გვიჭირავს, არც ისე ვართ ცნობილი, როგორც თქვენი „დინაღოა“ და ამიტომ თბილისში წარმატების მოპოვება ჩვენთვის ძალიან ძნელი იქნება. ერთი კი ცხადია, შინ დავმარცხდით და უკანდასახევი გზა არა გვაქვს. თავდაუზოგავად ვითამაშებთ.

— როგორი შემადგენლობით ჩამოვედით? ისეთივეთი, როგორითაც უოტერფორდში ვითამაშეთ... ვინ მომეწონა თბილისელი ფეხბურთელებიდან? — ჩივაძე და ყიფიანი. ამ უკანასკნელისათვის ცუდი ამინდი არ არსებობდა და ყველაფერს მსუბუქად, მოხდენილად აკეთებდა.

გუშინვე ირლანდიელმა ფეხბურთელებმა, მათი თქმისა არ იყოს, ჩვენს მშვენიერ სტადიონზე ივარჯიშეს, დღეს კი „დინამო“ მასპინძლობს „უოტერფორდს“. ირლანდიელებთან ამ განმეორებით მატჩში ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი მეტოქეზე ძლიერია და ევროპული ტურნირის მეოთხედფინალისაკენ საბოლოოდ გაიკაფოს გზა. ალბათ, ასე ფიქრობდნენ დინამოელთა მწვრთნელები, როცა გუშინ ატლანტიკის სანაპიროდან ჩამოსულ და არცთუ დიდი ხნის წინათ გაცნობილ ირლანდიელ ფეხბურთელებს თავაზიანად ართმევდნენ ხელს.

მაშ ასე, დ